დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №10
2026 წლის 29 აპრილი
ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 მარტის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 21/03/2022, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016442) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული "დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების" (დანართი N1):

ა) მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „$დ^1$“ ქვეპუნქტი:

„$დ^1$) „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესით, შინაურ ბინადარ ცხოველთა მართვის სფეროში შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელება;"

ბ) მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ი.რ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი.ს“ ქვეპუნქტი:

„ი.ს) შინაური ბინადარი ცხოველის კეთილდღეობის, მოშენებისა და მოვლა-პატრონობის მოთხოვნების დარღვევა;“

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ივლისიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**